WINE AND ALCOHOLIC BEVERAGE PRODUCTION IN BATUMI AT THE END OF THE 19TH AND BEGINNING OF THE 20TH CENTURIES

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება ბათუმში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში

RUSUDAN KOBRAVA
Head of Department of History in Khariton
Akhvlediani Museum
Batumi. Khariton Akhvlediani st.#4
+995 555 52 48 46
rusudankobrava@gmail.com
ORCID 0009-0001-4682-4772

Abstract

Following Batumi's incorporation into the Russian Empire and its declaration as a "Porto-Franco" (1878), the city witnessed an influx of foreign capital and a revival of industry and trade. Batumi became a primary hub for exporting Baku oil to the global market. In addition to oil-related enterprises, other industrial sectors began to develop, including the production of wine and alcoholic beverages.

The Georgian entrepreneur Vladimir Danelia was the first to undertake wine production. In 1907, he founded the wine production and export firm "Danelia and Company" in Batumi, marking one of the first Georgian companies in the city. The company began producing various types of wine, as well as church wine processed with honey and honeycomb using ancestral technology. He created an original label for the church wine. The wine was bottled in French, Burgundy-type glass bottles with a one-liter capacity. The products were shipped to various countries via the Batumi Seaport.

Among foreign entrepreneurs, the Greek brothers A. and P. Kutsuris operated in Batumi. In 1865, they founded a firm for producing alcoholic beverages and opened a factory for vodka, liqueur, and cognac. The factory produced various types and qualities of alcoholic beverages, using raw spirits, local fruits, and berries as ingredients.

From 1888, Grigol Danielov, the representative of the Odessa Brewery in Batumi, also produced alcoholic beverages in the city. Danielov's steam-powered vodka, liqueur, and cognac factory produced high-quality French and Caucasian liqueurs, balsam, rum, champagne, cognac, and table vodka. The factory presented its products at international exhibitions.

At the turn of the 19th and 20th centuries, vodka factories owned by S.M. Dvali, M.S. Kalantarov, and O.P. Megavoriani operated in Batumi, alongside wine warehouses where finished wine was transported in barrels and bottles from various regions of Georgia. Labeling and sales were conducted locally.

Keywords: Church wine; Liqueur; Vodka; Cognac; Wine warehouse.

რუსუდან კობრავა
ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის
ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი
ქ. ბათუმი ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა #4
+995 555 52 48 46
rusudankobrava@gmail.com
ORCID 0009-0001-4682-4772

აბსტრაქტი

ბათუმის რუსეთის იმპერიაში შესვლისა და „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადების შემდეგ(1878 წ.) ქალაქში დაიწყო უცხოური კაპიტალის შემოდინება, მრეწველობისა და ვაჭრობის აღორძინება. ბათუმი გახდა ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე გატანის მთავარი ცენტრი. ნავთობთან დაკავშირებული საწარმოების გარდა დაიწყო მრეწველობის სხვა დარგების განვითარება.მათ შორის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

ღვინის წარმოებას პირველად მოჰკიდა ხელი ქართველმა მეწარმემ ვლადიმერ დანელიამ. 1907 წელს მან ბათუმში დააარსა ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორი ფირმა „დანელია და კომპანია“. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია ბათუმში. კომპანიამ დაიწყო სხვადასხვა დასახელების ღვინოების და საგვარეულო ტექნოლოგიით თაფლით და ფიჭით დამუშავებული საეკლესიო ღვინის წარმოება. პროდუქციას სხვადასხვა ქვეყნებში ბათუმის ნავსადგურით აგზავნიდა.

უცხოელ მეწარმეთაგან ბათუმში საქმიანობდნენ ბერძენი ძმები ა.და პ.კუცურები.1865 წელს მათ დააარსეს ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ფირმა და გახსნეს არაყის,ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა. ქარხანაში ამზადებდნენ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ალკოჰოლურ სასმელებს. მასალად იყენებდნენ სპირტს, ადგილობრივ ხილსა და კენკრას.

1888 წლიდან ქალაქში ალკოჰოლურ სასმელებს აწარმოებდა გრიგოლ დანიელოვი, რომელიც იყო ოდესის ლუდსახარში ქარხნის წარმომადგენელი ბათუმში. დანიელოვის ორთქლის, არაყ-ლიქიორისა და კონიაკის ქარხანაში მზადდებოდა უმაღლესი ხარისხის ფრანგული და კავკასიური ლიქიორები, ბალზამი, რომი, შამპანური, კონიაკი, სუფრის არაყი. პერიოდულად ხდებოდა პროდუქციის წარდგენა საერთაშორისო გამოფენებზე.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ბათუმში ფუნქციონირებდა ს.მ. დვალის, მ.ს. კალანტაროვისა და ო.პ მეგავორიანის არაყის ქარხნები, ასევე ღვინის საწყობები, სადაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან კასრებითა და ბოთლებით ჩამოჰქონდათ მზა ღვინო. ადგილზე ხდებოდა მისი ეტიკეტირება და რეალიზაცია.

საკვანძო სიტყვები: საეკლესიო ღვინო; ლიქიორი; არაყი; კონიაკი; ღვინის საწყობი.

შესავალი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში ღვინის, განსაკუთრებით კი ალკოჰოლური სასმელების წარმოების საკითხი დღეისათვის სრულყოფილად არ არის შესწავლილი. 1907 წელს ვლადიმერ დანელიას მიერ დაარსებული ღვინის საწარმო „დანელია და კომპანიას“ შესახებ რ.კობრავას სტატია „დინასტია გრძელდება“ დაიბეჭდა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის მაცნე #6-ში 2015 წელს. ქალაქში არსებული არაყის, ლიქიორისა და კონიაკის ქარხნების, ღვინის სარდაფების ლოკაცია და საქმიანობა კი უცნობია. კვლევის მიზანს წარმოადგენს აქამდე უცნობი მასალების გამოტანა სამეცნიერო საზოგადოების წინაშე.

მეთოდები. სტატიაში გამოყენებულია ანალიზის მეთოდი, რომელიც წარმოაჩენს ღვინისა და ალკოჰოლური სამელების წარმოების ტექნოლოგიას ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში. წინამდებარე კვლევაში პირველწყაროდ გამოყენებულია აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული დოკუმენტები, რარიტეტული წიგნები და გაზეთები.

შედეგები. წარმოდგენილ სტატიაში მკითხველი მიიღებს სრულყოფილ ინფორმაციას XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში ღვინის, არაყ-ლიქიორისა და კონიაკის ქარხნებისა და ღვინის საწყობების საქმიანობისა და ლოკაციების შესახებ.

მსჯელობა. ბათუმი თავისი დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო ყოველთვის იყო ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და თავისუფალ ზონად „პორტო-ფრანკოდ“ გამოცხადდა. „პორტო-ფრანკოს“ წესდების საფუძველზე, ბათუმში დაშვებული იქნა უცხოური საქონლის თავისუფალი შემოტანა. ხსენებული მაქსიმალურად ლიბერელური საგადასახადო რეჟიმის წყალობით ბათუმით დაინტერესდნენ ცნობილი ნავთობმრეწველები-ლუდვიგ ნობელი, ალექსანდრე მანთაშევი, როტშილდების დინასტია, ქართველი და უცხოელი კომერსანტები. ქალაქში დაიწყო ქარხნებისა და ფაბრიკების გახსნა, საუკეთესო საზოგადოებრივი შენობებისა და სასწავლო დაწესებულებების მშენებლობა, საავადმყოფოების, ელექტროსადგურისა და ქალაქის განათების მოწყობა, ჭაობების ამოშრობა, წყალგაყვანილობის გაყვანა, ქუჩების გამწვანება.

ბათუმის მხარის განვითარებაზე განსაკუთრებული როლი შეასრულა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან სარკინიგზო ხაზით ბათუმის დაკავშირებამ (1883 წ.). აზერბაიჯანში ნავთობის მოპოვების ზრდამ ბათუმის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა, რადგან ბათუმი ამ ეტაპზე აზერბაიჯანის ნავთობის ექსპორტის ხელშემწყობ ბაზად გადაიქცა. საყურადღებოა, რომ ბათუმიდან გატანილი ნავთი მთელი მსოფლიო მოხმარების 21,2% შეადგენდა. საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა ბათუმის პორტმა. გაიზარდა მისი ტვირთბრუნვა. გაფართოვდა ნავსადგური.

ბათუმში პირველი საწარმოები იყო ნავთობის გადასაზიდი კასრების დამამზადებელი ქარხნები. ნავთობთან დაკავშირებული საწარმოების გარდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში დაიწყო მრეწველობის სხვა დარგების განვითარება. დაიწყო ფუნქციონირება თამბაქოს, თუჯსასხმელმა და იატაკის ფილების დამამზადებელმა ქარხანებმა. პარალელურად ვითარდებოდა კვების პროდუქტების წვრილი მრეწველობა. მათ შორის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება. გაიხსნა ღვინის, არაყ-ლიქიორისა და კონიაკის ქარხნები, ღვინისა და ლუდის საწყობები.

ღვინის წარმოების მაღალი პროფესიული დონე საქართველოში ძველთაგანვეა ცნობილი. ქართველი მეღვინეები ამზადეებდნენ საუკეთესო გემოს, ფაქიზი არომატისა და ბუკეტის, ლამაზი ფერისა და სხვა ღირსების ღვნოებს.საქართველოდან მრავლად გაჰქონდათ ღვინო, არაყი, რადგან განსაკუთრებული გასაღება ჰქონდა. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ღვინის ქართული ბაზარი გაფართოვდა. მომხმარებელი უკეთ გაეცნო სხვადასხვა ტიპის სასმელს (შამპანური, კონიაკი, ლიქიორი), რომლებიც პირველად ევროპიდან შემოდიოდა ფოთის გავლით. „ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადგილობრივი მწარმოებლების წინაშე შემაგრებული, ცქრიალა (შუშხუნა) და ევროპული ტიპის ღვინოების დამამზადებელი საწარმოების დაარსების საჭიროება დადგა“ (მირველაშვილი, მაღრაძე, 2015, გვ.45).

ქართველმა და უცხოელმა მეწარმეებმა, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ, დაიწყეს ღვინის, შამპანურის, ჭაჭის, ლიქიორის, კონიაკის, ძმარის წარმოება. საქმიანობდნენ როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. „მეწარმეთა უმრავლესობა პირადად აწარმოებდა პროდუქციას, აშენებდა ვენახს, ამზადებდა ღვინოს, მაგარ ალკოჰოლურ სასმელებს, ხოლო ზოგი ვაჭრობით იყო დაკავებული. ყველა კომპანიას გააჩნდა საკუთარი პროდუქცია, რომელსაც ქვევრში ან კასრში ამზადებდა,ხოლო შემდეგ სარეალიზაციოდ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ბოთლში ჩასხმულს აგზავნიდა. მათ ყველას ჰქონდა საკუთარი ბოთლი და ეტიკეტი“ (ქართული ღვინის ეტიკეტების კატალოგი, 2019, გვ.21).

ხდებოდა ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარდგენა სხვადასხვა გამოფენებზე, კონკურსებზე, ბაზრობებზე, საიდანაც ქართული ღვინოები და ალკოჰოლური სასმელები სათანადოდ დაფასებული და სხვადასხვა ღირსების ჯილდოებით შემკული ბრუნდებოდა. ყველა ჯილდო, მედალი თუ სამეფო სიმბოლიკა შემდგომ საპატიო ადგილს იკავებდა გამარჯვებული სასმელის ეტიკეტზე.

ბათუმში ღვინის წარმოებას პირველად მოჰკიდა ხელი ქართველმა მეწარმემ ვლადიმერ ნიკოლოზის ძე დანელიამ. ვლადიმერ დანელია წარმოშობით მარტვილიდან იყო. ბათუმში 1894 წელს ჩამოვიდა სასწავლებლად. დაეუფლა რამდენიმე უცხო ენას. მათ შორის კარგად ისწავლა რუსული, ბერძნული და თურქული.18 წლის ასაკში ერთ-ერთ სოლიდურ ფირმაში დაიწყო მუშაობა, რომელიც სხვადასხვა საქონლის იმპორტს და ექსპორტს ეწეოდა. ვლადიმერმა 8 წელი იმუშავა ამ ფირმაში. საკმაო გამოცდილება მიიღო და თანხაც დააგროვა.მან კარგად აუღო ალღო კომერციას და საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტა. მიზნად დაისახა ქართული ღვინოების წარმოება და ექსპორტი. მითუმეტეს, რომ მისი ოჯახი ფლობდა საეკლესიო ღვინის დამზადების საგვარეულო ტექნოლოგიას. მისი წინაპრები, რომელთა შორის ღვდელთმსახურებიც იყვნენ, საეკლესიო ღვინის ამზადებდნენ. ღვინისათვის ღვინომასალას თაფლით და ფუტკრის ფიჭით ამუშავებდნენ. ამ საგვარეულო ტექნოლოგიის საიდუმლოებას ისინი ფაქიზად ინახავდნენ და თაობიდან თაობას, როგორც დიდ რელიქვიას ისე გადასცემდნენ. საეკლესიო მიწებზე ვაზს ახარებდნენ და საუცხოო წითელ ღვინოს ოჯალეშს ამზადებდნენ.

1907 წელს ვლადიმერმა ბათუმში ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორი ფირმა „დანელია და კომპანია“ დააარსა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ქართული კომპანია ბათუმში. კომპანიის ოფისი ბათუმში, შეპელოვის(ახლ.ვაჟა-ფშაველას) ქუჩის N54 -ში იყო გახსნილი. ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა ოფისთან ახლოს მდებარეობდა ძველი რკინიგზის სადგურის ახლოს. ეს აიოლებდა ქარხნის ღვინომასალით მომარაგებას. კომპანიამ დაიწყო სხვადასხვა დასახელების ღვინოების და საგვვარეულო ტექნოლოგიით თაფლით და ფიჭით დამუშავებული საეკლესიო ღვინის წარმოება. შექმნა საეკლესიო ღვინის ორიგინალური ეტიკეტი. მასზე გამოსახა ვაზი, ყურძნის მტევნები, ტაძარი, ზღვა, ბარი, მთა, კომპანიის სასაქონლო-სავაჭრო ნიშანი და კომპანიის დროშა. ეტიკეტზე ასევე განათავსა 1907 წლის რეგისტრაციის ნომერი N39 და ოფისის მისამართი.

ღვინომასალა ქარხანაში მუხის კასრებით ჩაჰქონდა სამეგრელოდან, იმერეთიდან, კახეთიდან და რაჭიდან. ღვინის ჩამოსხმას ფრანგული, ბურგუნდიული ტიპის ერთი ლიტრი ტევადობის მინის ბოთლებში ახდენდა. ბოთლებს კორპის საცობით ხუფავდა და პლომბით გმანავდა. პლომბზე კომპანიის ბეჭედს ასვამდა. პროდუქციას სხვადასხვა ქვეყნებში ბათუმის ნავსადგურით აგზავნიდა. კომპანია კარგად ვითარდებოდა. იზრდებოდა კაპიტალი, საფირმო მაღაზიების რაოდენობა. მის საკუთრებას შეადგენდა: ღვინის ჩამოსასხმელი ქარხანა ბათუმში, ვენახები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში,

ღვინის საფირმო მაღაზიების ქსელი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ-ხოფაში, რიზეში, ტრაპიზონში, მარსელში და სხვა ქალაქებში.

1921 წელს გასაბჭოების შემდეგ სხვა მეწარმეებთან ერთად ვლადიმერ დანალიას ქონება ჩამოართვეს. შეწყდა ღვინის წარმოება. კომპანია დაიხურა (კობრავა, 2013, გვ.132-133).

1997 წელს ვლადიმერის მემკვიდრემ, შვილიშვილმა გელა შალვას ძე დანელიამ აღადგინა ძველი კომპანია. „საეკლესიო ღვინის“ პირველი პარტია 1999 წელს სააქციო საზოგადოება „სამებაში“ დაამზადა. დაიწყო პროდუქციის რეალიზაცია. 2005 წელს ბათუმის ძველ უბანში ერთ-ერთ უძველეს სავაჭრო ქუჩაზე -მიხაილოვის (ახლ.ზვიად გამსახურდიას N 43) შენობაში, რომელშიც ვლადიმერს ერთ-ერთი ღვინის მაღაზია ჰქონდა, აღადგინა ძველი მაღაზია და „დანელიას ძველი ღვინის სახლი“ უწოდა.

უცხოელ მეწარმეთაგან ბათუმში საქმიანობდნენ ბერძენი ძმები ა.და პ.კუცურები, რომლებმაც აქ დაიწყეს ევროპული ტიპის სასმელების -ლიქიორის, კონიაკის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება. ისინი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოვიდნენ ბათუმში. 1865 წელს დააარსეს ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი ფირმა და გახსნეს არაყის,ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა. ფირმის კანტორა და საწყობები განთავსებული იყო ლორის მელიქოვის (ახლ.ნ.ჟორდანიას) და ტორგოვის (ახლ.გ.ელიავას) ქუჩების კუთხეში მდებარე სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр. 118). ქარხანაში სპეციალურად მზადდებოდა მაღალი ხარისხის ლიქიორები. მასალად იყენებდნენ ნატურალურ სპირტს, სამკურნალო ბალახებს, ხილსა და კენკრას. გამოირჩეოდა ფრანგული ლიქიორები ბენედიქტინი და შარტეზი. ასევე იწარმოებოდა სხვადასხვა სახისა და ხარისხის არაყეულობა და კონიაკები: რუსული ზაპეკანკა, ინგლისური ცხარე, კიევის სასმელები, კავკასიური ცხარე არაყი-ტარხუნი. ტარხუნის დასამზადებლად იყენებდნენ კავკასიურ ბოსტნეულს ტარხუნას. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ქარხნის მიერ გამოშვებული სამეფო სუფრის არაყი N 41 და N 11.

ქარხანაში იყიდებოდა ბერძნული და ფრანგული კონიაკები და ნატურალური სპირტი. საქონელი იყიდებოდა როგორც წვრილ-წვრილად, ასევე პარტიობით. ბათუმში არსებული არაყის, ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა იყო პირეიაში არსებული ქარხნის ერთადერთი წარმომადგენლობა მთელი რუსეთისათვის. ქარხნის ხელმძღვანელობა თავის პრეისკურანტებს აძლევდა და უგზავნიდა ყველა მსურველს მოთხოვნილებისთანავე (გაზ. „ბათუმის გაზეთი.“ (1913). # 14).

ბერძენი ძმები ა.და პ.კუცურები არაყ-ლიქიორის და კონიაკის ქარხნის გარდა ბათუმში ფლობდნენ ჭურჭლეულობის მაღაზიას ლორის მელიქოვის (ახლ.ნ.ჟორდანიას) ქუჩაზე. (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр. 118). მათ საკუთრებას წარმოადგენდა ასევე ქუთაისისა და ლორის მელიქოვის (ამჟ. ქუთაისისა და ჟორდანიას) ქუჩების კვეთაში მდებარე სასტუმრო „ევროპა“ (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 71). 1922 წელს საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ კუცურების მთელი ქონება ნაციონალიზაციას დაექვემდებარა. დროთა განმავლობაში არაყის,ლიქიორისა და კონიაკის ქარხნის შენობაც განადგურდა.დღეისათვის ბათუმში შემორჩენილია მხოლოდ კუცურების ყოფილი სასტუმროს „ევროპა“ -ს შენობა, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს წარმოადგენს.

XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში ალკოჰოლურ სასმელებს აწარმოებდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა გ.ა. დანიელოვის ორთქლის, არაყ-ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა, რომლის კანტორა და საწყობი განთავსებული იყო დონდუკოვო-კორსაკოვის

(ახლ.კ.გამსახურდიას) ქ.N 38-ში.(Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 67). გრიგორ დანიელოვს გააჩნდა საკუთარი სახლი ბათუმში მიხეილის(ახლ. ზვიად გამსახურდიას) და ბერძნის(ახლ. ფარნავაზ მეფის) ქუჩების კვეთაში. თვითონ გახლდათ ოდესის ლუდსახარში ქარხნის (ყოფილი „სანცერბახერ და კომპანიას“) წარმომადგენელი ბათუმში და საკუთარ სახლში გახსნილი ჰქონდა ლუდის საწყობი (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г, 1902, стр. 112).

გ.ა. დანიელოვის ფირმა დაფუძნდა 1888 წელს. ბათუმის ქარხანაში ამზადებდნენ უმაღლესი ხარისხის ფრანგულ ლიქიორებს შარტეზს და აბრიკუდინს, ასევე მარასკინს, მასტიკას ტარხუნკას (კავკასიის ლიქიორი), აწარმოებდნენ კიევის სასმელებს: ალუბლის, შავი სმაროდინის, მალინის, ვარდის, ფორთოხლის, ლიმონის, პიტნის და სხვა, ინგლისურ მომწარო სასმელებს. ეს სასმელიბი იყო: ქინა-ქინისა,ზუბროვკა, რომი, რიგის შავი ბალზამი, კონიაკი, ფინ- შამპანი, მალორუსული ზაპეკანკა, ნეჟინის რიაბინა და სხვა. საყურადღებო იყო ნამდვილი რომი იამაიკა. განსაკუთრებით კარგი იყო ქარხნის მიერ დამზდებული სუფრის არაყი N 41 და N 11.

ბათუმში არსებული გ.ა.დანიელოვის არაყ-ლიქიორისა და კონიაკის ქარხანა ასევე იყო პირინეიაში არსებული ფირმის „ემანუელი და ამხანაგობის“ ერთადერთი წარმომადგენელი მთელი რუსეთისათვის.

ქარხანა ახდენდა თავისი პროდუქციის წარდგენას სხვადასხვა გამოფენებზე. 1911 წელს დანიელოვის ფირმამ მიიღო უდიდესი ჯილდო იტალიის უნივერსალურ გამოფენაზე რომში - ოქროს დიდი მედალი, ხოლო ტურინში ოქროს ჯვარი და მედალი („ბათუმის გაზეთი“ 1912. #106).

ამ ქარხნების გარდა ბათუმში ფუნქციონირებდა რამდენიმე არაყის ქარხანა. საბაჟოს (ახლ.ელიავას) შესახვევში N 2 -ში მდებარეობდა ს.შ. დვალის არაყის ქარხანა. ქარხანა ქიმიურად სუფთა ღვინის სპირტისაგან ამზადებდა უმაღლესი ხარისხის, სამგზის გაწმენდილ ყურძნის არაყს N21. არაყის სიმაგრე იყო 40 გრადუსი. დოდნდუკოვო-კორსაკოვის (ახლ. კ.გამსახურდიას) ქ. N 31- ში ფუნქციონირებდა მ.ს. კალანტაროვის არაყის ქარხანა. მაღალი ხარისხის არაყს უშვებდა ო.პ.მეგავორიანის არაყის ქარხანა, რომელიც მიხაილოვის (ახლ.ზ. გამსახურდიას) ქუჩაზე ვინმე ფოკანდის სახლში იყო გახსნილი (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 71).

არაყის, ღვინის, კონიაკისა და ლიქიორის მწარმოებელი საწარმოების გარდა ბათუმში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ფუნქციონირებდა 40-მდე ღვინის საწყობი. ამ საწყობების საქმიანობის გარკვევა შესაძლებელი გახდა აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცული ღვინის ეტიკეტების შესწავლის საფუძველზე. გთავაზობთ ინფორმაციას ზოგიერთი საწყობის შესახებ.

ბათუმში საკმაოდ ცნობილი იყო ყიფიანის ღვინის სარდაფი. „ყიფიანის ღვინო“ მზადდებოდა ძველი რაჭული ტექნოლოგიით ამბროლაურის რაიონში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ყიფიანების მამულში მოყვანილი ყურძნის 2 ჯიშის – ალექსანდროულისა და მუჯურეთულის შერევით.

ყიფიანების ღვინოს აწარმოებდნენ რაჭველი თავადები დიმიტრი, ლუარსაბ და ქაიხოსრო ყიფიანები. მათ საკუთარი ღვინო წარმოადგინეს 1900 წელს ბათუმში გამართულ პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. წარმატება ხვდა ლუარსაბ ყიფიანის ღვინოს, რომელმაც დაიმსახურა მედალი წარწერით "სანაქებო".ამ გამარჯვების შემდეგ ყიფიანებმა ბათუმში გახსნეს საკუთარი ღვინის საწყობი.

რაჭული, ყიფიანის ღვინის საწყობი მდებარეობდა ბათუმში თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქ.N 34-ში პ.რ. კვახაძის საკუთარ სახლში. ამ სარდაფის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „ბათუმის გაზეთში“, სადაც პეტრე როსტომის ძე კვახაძე იუწყებოდა: ყიფიანის ფირმა არის „ერთადერთი ფირმა მთელს ბათუმში, სადაც განსაკუთრებით იყიდება ხელმისაწვდომ ფასებში ბაქტეოლოგიურ და ანალიტიკურ ლაბორატორიაში ქიმიურად გამოკვლეული რაჭული ყიფიანის ღვინო. რადგან ჩვენის ფერი ბევრმა დაიწყო წითელი ეტიკეტებით სხვადასხვა ღვინის გასაღება, ვაფრთხილებთ, რომ ერიდონ სიყალბეს და მსგავსს“ (გაზ.„ბათუმის გაზეთი“ 1913, # 75). დიმიტრი, ალექსანდრე, დავით და ლუარსაბ ყიფიანების ღვინო ასევე იყიდებოდა ბათუმში, ნურიაზე, ასათიანის (ახლ.ზურაბ გორგილაძის) ქ.#11-ში ვ.ახვლედიანისა და ბ.წერეთლის საწყობში (Справочник-указатель Аджаристана на 1924 г, (1924), стр. 8). ყიფიანების ღვინის დაგემოვნება შესაძლებელი იყო იმერეთის შეს.(ახლ.ლუკა ასათიანის) ქ. #2 -ში პ.რ. კვინჭიას საწყობში(აჭმ ხ.ფ. # 23086-49) და ლიბკნეხტის (ახლ.გიორგი მაზნიაშვილის) ქ. # 66- ში გ.მარკაროვის საწყობში (აჭმ ხ.ფ. #23086-68).

1888 წლიდან ფუნქციონირებდა ბათუმში სიმონ ბოჭორიშვილისა და დ.მ. მესხიშვილის კახური და სვირული ღვინოების საწყობი. მდებარეობდა კათოლიკეთა (ახლ.ვ.გორგასალის) და მიხაილოვის (ახლ.ზ. გამსახურდიას) ქუჩების კვეთაში, # 29--ში მდებარე სახლში. ბოჭორიშვილისა და მესხიშვილის ღვინის საწყობში იყიდებოდა საუკეთესო კახური და სვირული ღვინოები პარტიობით და წვრილად. ფირმას 1906 წელს ანტვერპენში მიღებული ჰქონდა დიდი ვერცხლის მედალი, ბელგიაში კი მედალი (გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1914, # 28).

თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქუჩაზე მდებარეობდა ტ.ს. აბოვიანცის ღვინის საწყობი (ყოფილი კალანტაროვის), სადაც იყიდებოდა უმაღლესი ხარისხის სუფრის ღვინო # 41- სააღდგომო სუფრის ღვინო (აჭმ ხ.ფ. #19471-1).

გრიგოლია- გალუსტოვას კახური და იმერული ღვინის საწყობი მდებარეობდა თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქ. #18 - ში. იყიდებოდა კავკასიური ყურძნის ღვინო „მადერა“(აჭმ ხ.ფ. #23086-132) და ღვინო „იმერკახი“.(აჭმ ხ.ფ. #23086-59). (სურ.1). საწყობს ჰქონდა სავაჭრო მარკა, რომელზეც გამოსახული იყო ხის კასრთან მდგომი ორი კაცი, რომლებსაც ხელში ჭიქები ეჭირათ.

ბედო გალუსტოვის საწყობი- თბილისის (ახლ. ბარათაშვილის) ქ.# 32. იყიდებოდა სვირის ღვინო „კულტურა“ N 00. (აჭმ ხ.ფ. #23086-13).

ს.ბ. კაჭარავას საწყობი- ასათიანის (ახლ.გორგილაძის) ქ.# 1-ში. იყიდებოდა სვირის ღვინო სახელწოდებით „არომატი“N4 (აჭმ ხ.ფ. #23086-20).

ვ.ს. მაღლაფერიძის საბითუმო საწყობი--თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქ. # 20-ში. იყიდებოდა ნატურალური სვირის ღვინო N 45.(აჭმ ხ.ფ.#23086-12), (სურ.2). ასევე ღვინო მუსკატი N65. (აჭმ ხ.ფ.#23086-45).სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ფრთაგაშლილი არწივი, რომელსაც ფეხებით ყურძნის მტევანი ეჭირა.

დ.ს. აბრამიას - მდებარეობდა გარადოკში არტილერიის (ახლ. მაიაკოვსკის) ქ.#69-ში. იყიდებოდა ნატურალური სვირის ღვინო N 2. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ქალი თავზე ყურძნის ფოთლებითა და ხელში ჭიქა ღვინით (აჭმ ხ.ფ. #23086-16).

ა.მ. გეწაძის - მდებარეობდა თბილისის (ახლ. ბარათაშვილის)ქ. # 20-ში. იყიდებოდა სვირის ღვინო N 60 „შიკარნოე“ (აჭმ ხ.ფ. #23086-29).

ა.მ. გეწაძის - . მდებარეობდა თბილისის (ლ. ბარათაშვილის)ქ. # 20-ში.იყიდებოდა სვირის ღვინო N 85. სავაჭრო მარკაზე გამოსაახული იყო ქვევრთან მდგომი ლომი და ცხენი (აჭმ ხ.ფ. #23086-43).

შ.ვ. კუჭუხიძის და დ.დ. ჭავჭანიძის- მდებარეობდა ასათიანის (ახლ. გორგილაძის)ქ. #11-ში. იყიდებოდა ნატურალური ღვინო „კრახუნა სიციცხლის წყარო“.(სურ.3). სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო შავ ჩოხაში ჩაცმული კაცი ყანწით ხელში (აჭმ ხ.ფ. #23086-51).

გ.გ.ბოჭორიშვილის და ბ.ვ. ვაჭარაძის -მდებარეობდა საბაჟოს (ახლ.ელიავას) შეს. # 2-ში. ეს იყო იმერული და კახური ღვინოების საწყობი, სადაც სხვადასხვა სახის ღვინო იყიდებოდა. მათ შორის იყო N2 შამპანი „საზანო“. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ღუზა (აჭმ ხ.ფ. #23086-7).

ძმებ ზარნაძეების - მდებარეობდა ჩაქვში. იყიდებოდა სვირის ღვინო. ფირმის სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ურემი, რომელშიც შებმული იყო ხარები. იქვე ჩანდა მეურმე. ურემს მიჰქონდა ღვინის კასრი (აჭმ ხ.ფ. #23086-116).

კ.ურუშაძის და გ. ცინცაძის ღვინის სარდაფი ძმობა. მდებარეობდა ლუქსემბურგის(ახლ.ჟორდანიას) ქ.#3-ში. იყიდებოდა კახური ღვინო N3 (აჭმ ხ.ფ. #23086-26).

ღვინის მწარმოებელი კოოპერატივი ,,უნივერსალი''-მდებარეობდა თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) ქ.#18-ში. იყიდებოდა კახური ღვინო N2 ,,უნივერსალი'' (აჭმ ხ.ფ. #23086-40).

ამიერკავკასიის მეგობრობის საწყობი-იყიდებოდა სუფრის ღვინო N51. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ბოთლზე დამდგარი ფრთაგაშლილი ფრინველი.(აჭმ ხ.ფ. #23086-74).

ი.ვ.ციხისთავის საწყობი-მდებარეობდა ლენინის (ახლ.კ.გამსახურდიას) ქ.#32-ში. იყიდებოდა კახური ღვინო ,,ალაზანი''. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო ღვინის კასრთან მდგომი ირემი (აჭმ ხ.ფ. #23086-58).

გ.ი. ვეგლიძის და ზ.ი. ჩუბინიძის საწყობი- მდებარეობდა კამოს (ახლ.ა.მელაშვილის)ქ. #10-ში. იყიდებოდა ნატურალური იმერული ღვინო ,,კრახუნა''. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო კლდეზე მდგარი ფრთაგაშლილი არწივი, რომელსაც ნისკარტით ყურძნის მტევანი ეჭირა (აჭმ ხ.ფ. #23086-67).

გ.ო. მარქაროვის-მდებარეობდა ლიბკნეხტის (ახლ. მაზნიაშვილის) ქ.#66-ში. იყიდებოდა ნატურალური კახური ღვინო. სავაჭრო მარკაზე გამოსახული იყო საწნახელში ჩამდგარი ორი კაცი, რომლებიც ფეხებით წურავდნენ ყურძენს (აჭმ ხ.ფ. #23086-68).

თავად ს.დ. ანდრონიკაშილის საწყობი ,,ალაზანი'' მდებარეობდა მიხეილის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქუჩაზე პანასევიჩის სახლში (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 66).

მ.მ. კოლიტჩევის საწყობი (ყოფ.შატიროვის)-ოკლობჟინსკის (ახლ.კოსტავას) ქუჩაზე ტაიროვის სახლში სასტუმრო ,,იმპერიალის'' ქვეშ (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 66).

ვ.ნ. კლუის- მდებარეობდა მიხაილოვის(ახლ.ზ.გამსახურდიას) და სვიატოპოლკ-მირსკის (ახლ.ა.მელაშვილის) ქუჩების კვეთაში, მავროპულოს სახლში, სადაც იყიდებოდა ანაპის ახლოს მდებარე ყუბანის ოლქში მოწეული საკუთარი ბაღების ყურძნისაგან დამზადებული ღვინო. ღვინო ერთი წლის განმავლობაში ძველდებოდა სარდაფებში და

მერე ხდებოდა მისი გაყიდვა. ღვინოს მიღებული ჰქონდა ჯილდოები ბათუმის და თბილისის გამოფენებზე. კლუის ღვინო იყიდებოდა ყველა საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიაში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г, 1902, стр. 94).

სავაჭრო-საკომისიო საზოგადოება „იმედი"-ს მთავარი საწყობი მდებარეობდა მიხეილის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქ. # 6-ში სასტუმრო „ფრანციას" გვერდით. საწყობში იყიდებოდა ღვინოები კახური ამხანაგობის „საერო", კახური ბაღის მესაკუთრეთა საზოგადოების „კახეტია" და კახური მეყურძნეთა საზოგადოების „ძმობა". როგორც საზოგადოების სარეკლამო განცხადება იუწყებოდა, ვინც ერთხელ გასინჯავდა ამ ღვინოებს, შემდგომში მას ვეღარ შეცვლიდა: „ჩვენი ერთადერთი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს ძვირფას მყიდველს ეჭვი არ შეეპაროთ შემოთავაზებული ღვინის მაღალ ხარისხიანობაში.ამხანაგობა მზადაა მყიდველის სურვილის შემთხვევაში დაამტკიცოს ღვინის მაღალხარისხიანობა და ნატურალურობა. (გაზ. „Ватумския Новости". (1909). # 44). საწყობში იყიდებოდა სხვადასხვა ხარისხისა და გემოს ღვინო. ფასი იწყებოდა 25 კაპიკიდან. 10 ბოთლზე მეტის შეძენისას და მუდმივ კლიენტებზე ხდებოდა ფასდაკლება.

საწყობი ამხანაგობა-,,იმედი''. განთავსებული იყო მიხეილის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქუჩაზე შეერთებული ბანკის ქვეშ (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 66).

საწყობი ძმები მაურერების -თბილისის (ახლ.ბარათაშვილის) მნდოიანცის სალხში. ფირმა არსებობდა 1906 წლიდან. იყიდებოდა კავკასიური ღვინო ელიზავეტპოლის ბაღებიდან და კავკასიური სუფრის, მაგარი, დესერტის ღვინო (Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 66).

პ.ბაგიჯანიანის ღვინის საწყობი- კომაროვის (ახლ.დ.თავდადებულის) პარკენტანიანის სახლში.(Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру, 1910, стр. 66).

სვირის ღვინოების საწყობი ნ.ვ.ბეჟუაშვილის-მიხეილის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქუჩაზე კურტოევის სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр. 94).

ე.ს.გიგაშვილის ღვინის საწყობი. მდებარეობდა პეტერბურგის (ახლ.ჭავჭავაძის) ქუჩაზე საკუთარ სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр. 94).

ძმები გუმელების-ოკლობჟინსკის (ახლ.კოსტავას) ქუჩაზე კომურჯინის სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр. 94).

თავად ლ.გ.მაკაევის კახური ღვინოების საწყობი-იყიდებოდა ღვინოები საკუთარი ბაღიდან. მდებარეობდა დონდუკოვო-კორსაკოვის (ახლ.კ.გამსახურდიას) ქუჩაზე ვიტუშინსკის სახლში. (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр .94).

სვირისა და სხვა ღვინოების საწყობი-მდებარეობდა ქუთაისის ქუჩაზე პინიას სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр .94).

გ.პ.სალადის საწყობი- მდებარეობდა მიხეილის (ახლ.ზ.გამსახურდიას) ქუჩაზე კაკაბაძის სახლში. (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г,1902, стр.94).

კალატოზიშვილისა და აბესაძის სვირის ღვინოების საწყობი-იმერეთის(ახლ.მარჯანიშვილის) შესახვევში მდებარე საკუთარ სახლში (Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г , 1902, стр .94).

ღვინო,,საეროს''საწყობი მდებარეობდა დონდუკოვო-კორსაკოვის (ლ. კ.გამსახურდიას) ქუჩაზე კომერციული ბანკის ქვეშ (გაზ.„ბათუმის გაზეთი“, 1911, #7).

შერემეტიევის (ახლ.ლ.ასათიანის) და ნურიეს მოედნის კუთხეში მდებარეობდა ღვინის სარდაფი „არარატი“, სადაც იყიდებოდა კახური ღვინო.აქ ერთი ბოთლი ღვინის ფასი იწყებოდა 20 კაპიკიდან. ღვინის ყიდვა შეიძლებოდა ბოთლებით, ვედროთი, შლიაპით და კასრებით. საწყობის შემნახველი იყო ბადო გალუსტოვი (газ. „Чернаморский Вестник“. 1906, #32).

საინტერესო ისტორია აქვს „ბროვალი და სხირტლაძის“ ღვინის საწყობს, რომელიც მდებარეობდა მარინსკი(ახლ.მ.აბაშიძის) ქუჩაზე. XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში მოღვაწეობდა ქუთაისელი კომერსანტი დ.სხირტლაძე. იგი მეღვინე იყო. იმერეთში ღვინოს აკეთებდა და ბათუმში ყიდდა. ბათუმში გადაეყარნენ ერთმანეთს ქუთაისელი მეღვინე და გერმანელი ბანოვანი -კონო „აპოლოს“ მფლობელის ბროვალის ქალიშვილი.მათ შექმნეს კომპანია-„ბროვალ-სხირტლაძე.“ დასახლდნენ მარიას ქუჩაზე. სხირტლაძემ ეზოში ვენახი დარგო. სამი შვილი შეეძინათ- სოფია, ლეკურტი და კიდევ ერთი ვაჟი. ქალბატონი ბროვალი საქართველოში რევოლუციის შემდეგ შვილებთან ერთად გერმანიაში წავიდა. სხირტლაძე კი ბათუმში დარჩა. ავადმყოფობდა. სხირტლაძეს კომუნისტებმა სახლი ჩამოართვეს, თავად კი სახლის სარდაფში ჩაიტანეს საკაცით. მეზობლები უვლიდნენ, დამარხეს სოუქსუს სასაფლაოზე სამების ტაძართან ახლოს. კუბოზე ღვინის ბოთლი დაადგეს და მიწა ისე მიაყარეს (მოგზაურობა ძველ ბათუმში, 2014, გვ.79).

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქარხნებისა და საწყობების უმრავლესობა დაიხურა, ნაწილი კი გადაკეთდა არტელებად და ამხანაგობებად.1929 წელს ჩამოყალიბდა სახელმწიფო ორგანიზაცია „სამტრესტი,“ რომლის დაქვემდებარებაში გადავიდა ალკოჰოლური სასმელებისა და ღვინის მწარმოებელი ყველა ქარხანა, მარანი, საწყობი და ა.შ.

დასკვნა. XX საუკუნის დასაწყისისათვის მრეწველობის განვითარების გამო ბათუმი სამართლიანად ითვლებოდა მესამე ქალაქად ამიერკავკასიაში. მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად აქ მაღალ დონეზე იყო ალკოჰოლური სასმელების წარმოება. ორიგინალურ საეკლესიო ღვინოს აწარმოებდა ღვინის მეწარმე ვლადიმერ დანელია. არაყის, ლიქიორისა და კონიაკის ქარხნები ამზადდებდნენ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ლიქიორებს, კონიაკებს, არაყს, რომს, შამპანურს. ბათუმში წარმოებული პროდუქცია მეწარმეებს გაჰქონდათ სხვადასხვა გამოფენებზე, საიდანაც ოქროსა და ვერცხლის მედლებითა და სიგელებით დაჯილდოებული ბრუნდებოდნენ. ქალაქში ბევრი ოყო ღვინის საწყობი, სადაც იყიდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოტანილი ღვინო.

გამოყენებული ლიტერატურა

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწართა ფონდი.(2014).ღვინის, არაყის,ლიქიორის და სხვა ეტიკეტები: #19471-1, #23086-7, #23086-12), #23086-13, #23086-16, # 23086-20, #23086-26. #23086-40. # 23086-29, #23086-4,3 #23086-51, #23086-58, #23086-66, #23086-67, # 23086-68, # 23086-74, #23086-132.

გაზეთი „ბათუმის გაზეთი“. (1911). # 7, ბათუმი.

გაზეთი „ბათუმის გაზეთი“. (1912). # 106, ბათუმი.

გაზეთი„ბათუმისგაზეთი“. (1913).#14, ბათუმი.

გაზეთი„ბათუმის გაზეთი“. (1913). #75, ბათუმი.

გაზეთი„ბათუმის გაზეთი“. (1914). #28, ბათუმი.

გაზეთი,,ბათუმის გაზეთი''. .(1911).#2,ბათუმი.
გაზეთი„ბათუმის გაზეთი“. (1912). #115, ბათუმი.
კობრავა, რ. (2015). ვლადიმერ დანელიას შესახებ. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმი. მუზეუმის მაცნე III. ბათუმი.
მირველაშვილი, მ. მაღრაძე, დ.(2015). ვაზისა და ღვინის კულტურა საქართველოში. თბ. გამომცემელი „ღვინის ეროვნული სააგენტო“.
მოგზაურობა ძველ ბათუმში. (2014). შეადგინა ნანა კვაჭაძემ. ბათუმი
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.(2008). ტ.III, ბათუმი. გამომცემლობა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ქართული ღვინის ეტიკეტების კატალოგი.(2019).თბ.საგამომცემლო კომპანია ეროვნული საგანძური.
Батумъ и окрестности вь описании Н.А. Веру. (1910). Батумъ.
газ. „Чернаморский Вестник“.(1906). #32, Батумъ.
газ. «Ватумския Новости”. (1909). #44, Батумъ.
Всеобщий Адресъ ежегодникъ Н.С.Державина г.Батума на 1902 г. (1902). Батумъ.
Справочник-указатель Аджаристана на 1924 г. (1924). Ватумь.

REFERENCES

ach'aris kharit'on akhvledianis sakhelobis muzeumis khelnats'arta pondi.(2014).ghvinis, araqis,likioris da skhva et'ik'et'ebi: #19471-1, #23086-7, #23086-12), #23086-13, #23086-16, # 23086-20, #23086-26. #23086-40. # 23086-29, #23086-4,3 #23086-51, #23086-58, #23086-66, #23086-67, # 23086-68, # 23086-74, #23086-132.
gazeti „batumis gazeti“. (1911). # 7, batumi.
gazeti „batumis gazeti“. (1912). # 106, batumi.
gazeti„batumisgazeti“. (1913).#14, batumi.
gazeti„batumis gazeti“. (1913). #75, batumi.
gazeti„batumis gazeti“. (1914). #28, batumi.
gazeti,,batumis gazeti''. .(1911).#2,batumi.
gazeti„batumis gazeti“. (1912). #115, batumi.
k'obrava, r. (2015). vladimer danelias shesakheb. kharit'on akhvledianis sakhelobis ach'aris muzeumi. muzeumis matsne III. batumi.
mirvelashvili, m. maghradze, d.(2015). vazisa da ghvinis k'ult'ura sakartveloshi. tb. gamomtsemeli „ghvinis erovnuli saagent'o“.
mogzauroba dzvel batumshi. (2014). sheadgina nana k'vach'adzem. batumi
samkhret-dasavlet sakartvelos ist'oriis nark'vevebi.(2008). t'.III, batumi. gamomtsemloba shota rustavelis sakhelmts'ipo universit'et'i.
kartuli ghvinis et'ik'et'ebis k'at'alogi.(2019).tb.sagamomtsemlo k'omp'ania erovnuli sagandzuri.
Batum# i okrestnosti v' opisanii N.A. Veru. (1910). Batum#.
gaz. „Chernamorskij Vestnik“.(1906). #32, Batum#.
gaz. «Vatumskija Novosti”. (1909). #44, Batum#.
Vseobshhij Adres# ezhegodnik# N.S.Derzhavina g.Batuma na 1902 g. (1902). Batum#.
Spravochnik-ukazatel' Adzharistana na 1924 g. (1924). Vatum'.

სურ.1 ღვინო იმერკახის ეტიკეტი.

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი

სურ.2. სვირის ღვინის ეტიკეტი

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი

სურ.3. ღვინო კრახუნას ეტიკეტი

აჭარის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი